შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2018-2019 სასწავლო წლის ანგარიში

საანგარიშო წელი განსაკუთრებულად დატვირთული და ნაყოფიერი იყო ინტერბიზნესის აკადემიისათვის. სამუშაოები მიმდინარეობდა 2018-2019 წლის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მიხედვით, ავტორიზაციის დებულებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მოთხოვნების უზრუნველყოფის შესაბამისად. როგორც დაგეგმილი იყო, ცვლილებები შევიდა აკადემიის სტრუქტურაში და მარეგულირებელ დოკუმენტებში - დებულებათა კრებულში და შრომის შინაგანაწესში.

2018-2019 სასწავლო წლის მიღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აქტიურად შუქდებოდა სოციალური ქსელით, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია აკადემიის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ექვს საგანმანთლებლო პროგრამას, რომელსაც აკადემია ახორციელებდა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N183 გადაწყვეტილებით, დაემატა კიდევ ოთხი პროგრამა და 2018-2019 სასწავლო წელს აკადემია ახორციელებდა ცხრა მოდულურ და ერთ საგნობრივ პროგრამას. შესაბამისად, მიღება გამოცხადდა ორჯერ, უკვე არსებულ პროგრამებზე სექტემბერში, ხოლო დამატებულ პროგრამებზე, დეკემბერში. სტუდენტებისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან მოქმედებდა შეღავათები სწავლის საფასურზე. მიღება სადაზღვევო აგენტის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის, ღონისძიების ორგანიზების და ვებტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არ განხორციელებულა.

საანგარიშო წელს ჩატარდა აკადემიის შენობის რეკონსტრუქცია, გაერთიანდა და გაფართოვდა სასწავლო ოთახები, გაყვანილი იქნა გათბობის ავტონომიური სისტემა, ჩატარდა რემონტი, მოეწყო საკონფერენციო დარბაზი, განახლდა და უფრო კომფორტული გახდა სპეციალური ამოსასვლელი სსსმ პირებისათვის, დამატებით მოეწყო სველი წერტილები. შეძენილი იქნა ტექნიკა და ინვენტარი, საგრძნობლად გაიზარდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჩატარებულმა სამუშაოებმა შესაძლებელი გახდა პროფესიულ სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა სამ პროფესიულ პროგრამაზე: ფარმაცია (სააფთიაქო), ინფორმაციის ტექნოლოგია და ბუღალტრული აღრიცხვა. პროგრამებზე განხორციელდა პროფესიული მასწავლებლების დამატება, გაიზარდა ადმინისტრაციის თანამშრომლების რაოდენობა, რამაც გამოიწვია სამსახურების ჩამოყალიბება და შესაბამისად, აკადემიის სტრუქტურისა და მარეგულირებელი დოკუმენტების ცვლილება.

მიმდინარე სასწავლო წელი ასევე დატვირთული იყო სახვადასხვა აქტივობებით, შეხვედრებითა და კონფერენციებით, როგორც აკადემიის გარეთ, ასევე შიგნით.

აკადემიის დირექტორი ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან და აკადემიის პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამართულ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებსა და ღონისძიებებში. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტებისა და პროცედურების განხილვაზე, პროფესიული სტუდენტების მობილობის წესის პროექტის, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის პროექტის, კალენდარული გეგმის შედგენასთან დაკავშირებული რეკომენდაციების განხილვებზე, პროფესიული განათლების სისტემის ახალი სტანდარტების მოკლე ციკლის (ასოცირებული ხარისხის) საგანმანათლებლო პროგრამაში შესული და დამტკიცებული ცვლილებების და „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის ახალი რედაქციის განხილვაზე. დირექტორი მონაწილეობდა შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტში სახელმწიფოს მიერ კერძო კოლეჯების სტუდენტების ვაუჩერულ დაფინანსებასა და პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის პერიოდში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაზე, სამუშაო შეხვედრაზე „პროფესიული განათლებაზე ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირება“, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრაზე, რომელიც მიეძღვნა პალატის როლს პროფესიული განათლების განვითარებასა და ამ მიმართულებით დადგენილ სიახლეებს და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრსა და საქართველოს და სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალზე.

დირექტორი აქტიურად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, კერძოდ, ევროკავშირის ეგიდით გამართულ შემაჯამებელ კონფერენციაში „უკეთესი უნარები უკეთესი დასაქმებისათვის“, „დუალური პროფესიული განათლების კოორდინაცია“ (საჭიროება-კვალიფიკაცია-დასაქმება), „XXI საუკუნე და ტურიზმი“; მონაწილეობდა საქართველოში ისარელის საელჩოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობრივ კონფერენციაში „ისრაელი 70 წლის“ და სოციალური მომსახურების სააგენტოს „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებისათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ შემაჯამებელ კონფერენციაში. აკადემიის დირექტორი ესწრებოდა საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი დაწესებულებების წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც განიხილეს დაფინანსების სქემაში კერძო კოლეჯების მონაწილეობის პრინციპები, დაფინანსების პრიორიტეტებსა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები. აკადემიის დირექტორი, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრის რანგში, მიწვეული იყო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2018 წლის ანგარიშის განხილვაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ, რაიონში მოღვაწე სხვადასხვა სფეროს

გამოჩენილი წარმომადგენლები, თბილისის საკრებულოს დეპუტატები და სამოქალაქო საბჭოს წევრები.

მომავალი სასწავლო წლიდან განათლების სამინისტრო იწყებს პროფესიული განათლების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებას, რომელშიც ინტერბიზნესის აკადემიაც ჩაერთვება. სამუშაო შეხვედრაზე განათლების სამინისტროში, რომელსაც აკადემიის დირექტორი ესწრებოდა, განსაზღვრა პროგრამის გამოწვევები, მათი გადაჭრის გზები და სამომავლო პერსპექტივები.

საანგარიშო წელს აკადემიაში განხორციელდა „პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ მორიგი ციკლი. რვა ყველაზე მეტად მოთხოვნად პროგრამაზე პროფესიული მომზადება გაიარა 182 მოსარგებლემ. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრაზე ბორჯომში, რომელსაც აკადემიის დირექტორი ესწრებოდა, პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებებს-მომსახურების მიმწოდებლებს, ეცნობათ დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების, სერვისებისა და დაგეგმილი სიახლეების შესახებ. პროგრამის შემდგომ ციკლს აკადემია მომავალ სასწავლო წელსაც განახორციელებს.

ინტენსიურად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. საანგარიშო წელს ორ მიღებაზე სასწავლო პროცესი დაიწყო 169 სტუდენტმა. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა 20 პროფესიულ სტუდენტს, დებულებაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, კანონით განსაზღვრული ვადის გასვლის გამო, სტატუსშეჩერებულ 65 პროფესიულ სტუდენტს შუწყდა სტუდენტის სტატუსი. სტუდენტების მიღწევების საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 80-90%. სტუდენტების გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკები ტარდებოდა სასწავლო გეგმის მიხედვით პარტნიორ ორგანიზაციებში. სტუდენტები მუდმივად იმყოფებოდნენ აკადემიის მიერ დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელის და პრაქტიკის ადგილიდან დანიშნული მენტორის მეთვალყურეობის ქვეშ. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი საწარმოო პრაქტიკა ნაძალადევის რაიონის გამგეობაში, როდესაც საოფისე საქმის პროფესიული პროგრამის სტუდენტებმა აჩვენეს მომზადების მაღალი დონე და დაიმსახურეს გამგეობის ადმინისტრაციის მადლობა.

საანგარიშო წელს ასევე მაღალი იყო სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი პარტნიორ კომპანიებში, კერძოდ, პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათი კურსდამთვრებული დასაქმდა სს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრში“ და კლინიკა „ახალ სიცოცხლეში“, საფინანსო სერვისების 9 კურსდამათავრებული დასაქმდა სს „კრედო ბანკში“, სადაც საწარმოო პრაქტიკაზე ყოფნის პერიოდში სტუდენტება გამოავლინეს თეორიული მომზადების მაღალი დონე,

ხოლო ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2 კურსდამთავრებული დასაქმებულია შპს „მაზერში“. ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის 22 სტუდენტი სწავლის პერიოდშივე დასაქმებულია შპს პსპ ფარმაში.

საანგარიშო წელს ჩატარდა სტუდენტთა მორიგი, მე-7 კონფერენცია, „ცოდნა სიმდიდრეა“. კონფერენციაზე მოხსენებებით წარდგნენ საექთნო საქმის, საბუღალტრო აღრიცხვის, საოფისე საქმის და საფინანსო სერვისების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები. საუკეთესო მოხსენების ავტორებს გადაეცათ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის სერტიფიკატები. სიგელები და სერტიფიკატები ასევე გადაეცათ კონფერენციის ორგანიზატორს და ყველა მონაწილეს. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებულ სტუდენტთა საერთაშორისო კიონფერენციაზე, სადაც მინაწილეობას იღებდნენ უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები, ინტერბიზნესის აკადემია წარმოადგინა საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარჩინებულმა სტუდენტმა და მრავალი კონფერენციის ჯილდოს მფლობელმა, თეონა ჭილაიამ. აკადემიის სტუდენტებისათვის ჩატარდა მასტერკლასები, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტების მოიტივაციის გაზრდას და დამსაქმებელთან გასაუბრებაზე გასვლისათვის მომზადებას. აკადემიის სტუდენტები მონაწილეობდნენ ნაძალადევის რაიონის გამგეობის ვეტარანთა კულტურისა და დასვენების პარკში არსებულ მედიათეკაში ორგანიზებულ შეხვედრაზე „საუბრები ხელოვნებაზე“, ცნობილ ქართველ ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებთან. სტუდენტები შეხვდნენ ისრაელის ლიდერთა ცენტრი „ახალგაზრდა ელჩების“ სტუდენტების დელეგაციას, რომლებმაც წარადგინეს ისარაელი და საკუთარი ცენტრი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები იმყოფებოდნენ საქართველოს ეროვნულ არქივში, სადაც დაათვალიერეს საისტორიო ცენტრლური არქივი და გაეცნენ ძველ საბუთთა განყოფილების დოკუმენტებს. საფინანსო სერვისების პროფესიული პროგრამის სტუდენტები ექსკურიით იმყოფებონენ საქართველოს ბანკის ფულის ეროვნულ მუზეუმში. სტუდენტების, ადმინისტრაციისა და სასწავლო პერსონალისათვის ჩატარდა ლექცია-ინსტრუქტაჟი ხანძრის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებებთან დაკავშირებით და პრაქტიკული მეცადინეობა ცეცხლმაქრების გამოყენებით.

ჩატარდა საახალწლო კარნავალი, სადაც აკადემიის სტუდენტებმა და მოწვეულმა სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ვიქტორინებსა და კონკურსებში. აკადემიის სტუდენტებისთვის მოეწყო ექსკურსია ვარძიაში. მოეწყო სტუმრის დღეები, სადაც მოწვეულები იყვნენ სხვადასხვა დარგის პროფესიონალები, პოტენციური დამსაქმებლები. შეხვედრების დროს სტუდენტებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე არჩეული სპეციალობების მიხედვით.

გასული სასწავლო წელი ნაყოფიერი იყო ხარისხის მართვის სამსახურისათვის. აქტიურად მუშაობდა შიდა მონიტორინგის ჯგუფი, გაიწერა გეგმა, შემუშავდა და შეივსო შეფასების კითხვარები, დასწრების ოქმები. მოდულური პროგრამებით სწავლებაზე გადასვლა საკმაო სირთულესთან იყო დაკავშირებული, პროფესიული მასწავლებლები უნდა მორგებოდნენ სწავლების ახალ მიდგომებს, რაც მუდმივ კონსულტაციებს და ტრენინგებს მოითხოვდა. გარდა იმისა, რომ ჩატარდა ტრენინგები აკადემიის პროფესიული მასწავლებლებისთვის, მუდმივად ხდებოდა ინდივიდუალური კონსულტაციები კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მტკიცებულებების მოპოვების საკითხებზე, ტრენინგი ჩაუტარდა პარტნიორი ორგანიზაციის შპს პსპ „ფარმას“ 50 ფარმაცევტს, რომლებიც ჩართულნი არიან საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში. სისტემატურად ხდებოდა მოდულის განხორციელების მონიტორინგი, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციები სხვა პროფილური პედაგოგების მიერ, თითოეულ ახალ პროფესიულ მასწავლებელს მოდულის დაწყების წინ უტარდებოდა ტრენინგები მოდულური პროგრამის განხორციელების სპეციფიკაზე, კალენდარული გეგმის და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე, ასევე მტკიცებულებების შეგროვებაზე. ჩატარდა გამოკითხვა სტუდენტთა კმაყოფილების დონის დასადგენად სასწავლო პერსონალის, სწავლების ხარისხისა და ადმინისტრაციის მუშაობასთან დაკავშირებით, გაკეთდა ანალიზი, გამოიკვეთა სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისა და დაგეგმისათვის რეკომენდაციები და მოთხოვნები.

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი მონაწილეობდა პროფესიული განათლების ქართულ-გერმანული დღეების ფარგლებში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგში კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელების და ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განვითარების საკითხებს. ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, აკადემიაში სამჯერ განხორციელდა გარე მხარდაჭერის ექსპერტის ვიზიტი, გადამუშავდა და დაიხვეწა აკადემიის მისია, ხედვა, სტრატეგია, ღირებულებები, რომელებიც გაეცნო აკადემიის პროფესიულ მასწავლებლებს და ადმინისტრაციას. სამსახურის უფროსი იმყოფებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ ორგანიზებულ ,,არაფორმალური განათლების აღიარების მიდგომების და მარეგულირებელი დოკუმენტების განხილვის, ღონისძიებაზე.

სანგარიშო წელს აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაოები კარიერული დაგეგმვის მიმართულებითაც. კარიერის დაგეგმვა წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს

განათლებასა და შრომის ბაზარს შორის. ამ რგოლის ფუნქციებზე, სამსახურის მნიშვნელობასა და დახმარების შესაძლებლობებზე სტუდენტებს მიეწოდა ამომწურავი განმარტება. კარიერული დაგეგმვის სპეციალისტის მიერ შეიქმნა სტუდენტთა ბაზები, რომლის კონტროლს თავად ახორციელებდა. ბაზაში გაიმიჯნა კურსამთავრებული და აქტიური სტუდენტები, დაკონკრეტდა მათი ინტერესები და შესაძლებლობები. ამგვარმა მეთოდმა სტუდენტებს გაუადვილა დამსაქმებლის მოთხოვნების და საკუთარი შესაძლებლობების ერთმანეთთან შეთავსება. ელექტრონული ბაზების ჩამოყალიბების შემდგომ შესაძლებელი გახდა სხვადასხვა კომპანიების ვაკანსიებს მოძებნა და სტუდენტებისათვის შეთავაზება ინტერესების მიხედვით. პრაქტიკიდან გამომდინარე, შემუშავებული და დახვეწილია მეთოდები და მიდგომები, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან განხორციელდება. კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი ესწრებოდა კარიერული დაგეგმვის და განათლების სფეროში არსებული პრობლემების და გამოწვევების გადაჭრის საკითხების თემატურ ტრენინგებს.

საანგარიშო წლის შპს ინტერბიზნესის აკადემიის ყველა აქტივობა და განხორციელებული ღონისძიება განთავსებული იყო აკადემიის ვებ და ფეისბუკის გვერდებზე, იყო საჯარო და ხელმისწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.